



ის ილა? ხომ არ ეშინიათ ხოლმე მკვლარი ცხოველებისა? როგორ აიხსნება ეს? გონება კვეთუნება: ამ შიშის გრძობას ღრმა საფუძველი აქვს იმ წინაგრძობაში, რომ ჩვენის სიკვდილით ყველაფერი არ თავდება. ამ რიგად, გონებაც გვარწმუნებს, რომ კაცის სული სხეულის სიკვდილის შემდეგ, განაგრძობს სიცოცხლეს საუკუნოდ. მაგრამ ჩვენ სხვა საბუთიც გვაქვს სულის უკვდავებისა. მე ვამბობ:

3) ისტორია გვიმტკიცებს, რომ კაცის სიკვდილით მისთვის ყველაფერი არ თავდება. ყველა ვრს სწამს უკვდავება სულისა, გაგრძელება სიცოცხლისა საიქიოს. არ შეიძლება გვაჩვენოთ არც ერთი ვარი, რომელსაც არ ჰქონდეს აზრი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლისა. რაც უნდა ღრმად შემცდარნი ყოფილიყვენ და ზნეობით დაკუმულნი ზოგიერთნი, მათთვის საიქიოს ყოველთვის მისაგებელის მნიშვნელობა ჰქონდა. წარმართთა სწავლულნიც არა თუ მარტო სცნობდენ სულის უკვდავებას, არამედ ასაბუთებდენ და იცავდენ ხოლმე. ასე მაგ. საბერძნეთის ფილოსოფოსი პლატონი თავის ნაწარმოებთა სხვადასხვა ადგილებში ლაპარაკობს უკანასკნელ საგნებზე. მისი სწავლით, გონიერულად სცხოვრობენ ისინი, რომლებიც ზრუნავენ უკვდავი სულისთვის და უშიშარ ჰყოფენ მას საუკუნო ცხოვრებისთვის.

**პეტრე:** ამიტომ ზოგიერთი ძველი წარმართები უკეთესნი არიან, ვიდრე ჩვენის დროის ურწმუნონი.

**მღვდელი:** ისტორია ნამეტნაჲდ გვითითებს ჩვენ ერთ განათლებულს ვერზე — **ეგვიპტელებზე**. ამ ვრს ძალიან მკაფიოდ და ცხადად ჰქონდა რწმენა სულის უკვდავებისა. უკანასკნელის დროში აღმოაჩინეს წიგნი, რომელშიც მოთხრობილია „შესახებ გარდასვლისა საიქიოს ცხოვრებაში“. ზოგიერთ მკოდნეთა აზრით, ეს წიგნი დაწერილია სამი ათასის წლის წინედ ქრისტეს შობამდე, ზოგის აზრით კი უფრო ადრეც. ამ წიგნში მოყვანილია ასეთი სიტყვები მიცვალებულთა: „ქება შენდა, ღმერთო დიდო, უფალო მონობლისა სიშართლისაო.

მე მოვედ შენდა უფლისა ჩემისადმი; წარმოვსდეგ წინაშე პირსა დიდებისა შენისასა“. მეორე ადგილს მკვლარი ამბობს: „მე კვალად შეუერთდი მიწას, მაგრამ მე არ მოვმკვლარვარ მომავლისთვის; მე ვარ სული წმიდა საუკუნისთვის“. რა ცხადად არის აქ გამოთქმული რწმენა სულის უკვდავებისა!

**პეტრე:** რასაც ეს ძველი ეგვიპტელები ამბობდენ სულის უკვდავების შესახებ, ის სრულიად თანხმია ქრისტიანობის მოძღვრებასთან ამ საგნის შესახებ.

**მღვდელი:** უწინდელი ეგვიპტელები ქვეყნიურს ცხოვრებას უტკეროდენ, როგორც ხანმოკლე მოგზაურობას, რომლის შემდეგაც საიქიოს მოსდევს მთელი საუკუნო; ამიტომ ისინი მეტად ზრუნავდენ თავის საფლავების შესახებ, ვიდრე სახლებზე. დიდი პირამიდები, რომლებშიც დაცულია ეგვიპტელ მეფეთა საფლავები, ჩვენ დრომდე არსებობენ, როგორც მოწმეები იმისი, თუ როგორ სცემდენ თავიანთ მიცვალებულებს, დიდ ხარჯს ეწეოდენ მათს ძეგლებზე, მითომ რომ სწამდათ საუკუნო არსებობა მათის სულებისა.

**პეტრე:** ასეთი პირამიდა არის კვიპრეს ახლო, როგორც მე წამიკითხავს ერთი მოგზაურობის აღწერაში.

**მღვდელი.** მართალია; მეც ბევრი წამიკითხავს ამის შესახებ. შემდეგ ისტორია მოგვითხრობს ზოგიერთ მკვლართა აღდგომის და გამოცხადების შესახებ. ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც სულ უეჭველად ხდებიან ჩვენს კრწმარტებას. მათ შესახებ უნდა ითქვას, რომ ერთი შემთხვევა რომ მომხდარიყო მკვდრის აღდგომისა ან გამოცხადებისა, მაშინაც გვექნებოდა ჩვენ საკმარი საბუთი იმისი, რომ სული უკვდავია. თუ ერთი სული გამოცხადდა სიკვდილის შედეგ, სჩანს, რომ სხვა სულებიც განაგრძობენ სიცოცხლეს კაცის სიკვდილის შემდეგ. მაგრამ ისტორია გვაუწყებს, რომ ასეთი მაგალითები სულთა გამოცხადებისა, ანუ გაღვიძების ცხოვრებისათვის იყო აუარებელი სიმრავლე და ეს გამოცხადებანი მომხდარან სხვადასხვა დროს, მაგ. საღეთო წე-

ჩილი მოგვიტობს, რომ დიდიხნის გარდაცვალებული წინასწარმეტყველი იერემია და ახლად გარდაცვალებული მღვდელ-მთავარი იონია გამოცხადნენ ღვთის მოშიშ ურიათა სარდალს იუდა მაკაბელს, რომ მოსე და ილია დაესწრნენ იესოს ფერიცვალებას თაბორის მთაზე, რომ იესოს სიკვდილის დროს მრავალნი მიცვალებულნი აღსდგნენ საფლავებიდგან, მოვიდნენ წმიდა ქალაქში და გამოცხადნენ მრავალთ (მაესთ 27, 52). ისტორია მოგვიტობს ჩვენ მიცვალებულთა ისეთ გამოცხადებას, რომლებიც მოხდა ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ. ასე მაგ. არა ერთხელ გამოცხადდა მიძინების შემდეგ ღვთის დედა ხან მოციქულთა კრებაში, ხან ვლადიმერის ტაძარში, ხან ლირსს სერგი რადონეველს. ხშირად გამოცხადებულან წმიდანები, მაგ. წმ. ნიკოლოზი. ეცხადებოდნენ ხოლმე უბრალო ქრისტიანებიც როცა სთხოვდნენ ღმერთს ღოცვით გამოცხადებას ამა თუ იმ მიცვალებულისას.

**პეტრე:** ეს მიცვალებულთა გამოცხადებაც ამტკიცებს, რომ სიკვდილით ყველაფერი არა თავდება.

**მღვდელი:** მართალია, მაგრამ ისტორია მოგვიტობს როგორც მკვდართა გამოცხადებას, აგრეთვე მათ აღდგომის და გაღვიძების შესახებაც. საღვთო ისტორიაში ვკითხულობთ, რომ საულ მეფე ერთხელ მოვიდა აენდორელ მისანთან და სთხოვა გაღვიძებინა ის, ვისაც დაასახელებდა. ქალმა ჰკითხა: ვინ გინდა გააღვიძო? მან სთქვა, სამოელი გამოღვიძე. მაგრამ ვიდრე ქალი მისნობას დაიწყებდა, სამოელი გამოეცხადა და გამოუცხადა მეფეს სასჯელი ღვთისა.

შზავსადვე ამისა, საღვთო ისტორია მოგვიტობს, რომ წინასწარმეტყველმა ელისემ სიკვდილზე დაუბრუნა ერთს ყრმას, რომლის აღდგინებაც ვერ შესძლო მისმა მსახურმა გიეზიმ. (4 მეფ. 4, 34). მაცხოვრის მიერ მკვდართა აღდგენის შესახებ მე აღიარას ვიტყვი, რადგანაც ის ყველამ იცის. მე მსურდა კიდევ შეჩვენებინა ის შემთხვევანი მკვდართა აღდგენისა, რომლებიც ჰქმნეს წმიდათა. ეს ისე ბევ-

რია, რომ ჩამოთვლა არც კი შეიძლება. მე მოვიყვან მკირე ნაწილს. მე მხოლოდ მოვიხსენებ იმას, რომ ინდოეთის მოციქულმა წმ. ფრანც ქსავერმა, როგორც სჩანს წმიდათა გუნდში ჩარიცხვის აქტიდან, ჩამოთვალა ოც და ოთხი შემთხვევა მკვდართა აღდგენისა. რას ამტკიცებს ეს გამოცხადება მკვდართა და აღდგომა მათი? ეს ამტკიცებს, რომ კაცის სულის სიკვდილზე გრძელდება სიკვდილის შემდეგაც.

**პეტრე:** სწორედ ვგრევა. დეე, ურწმუნოებას სთქვენ რაც უნდათ, მაგრამ ჩემთვის სიტყვები: მკვდარი, მკვდარიო, მუდამ ცრუ სიტყვებად დარჩებიან.

**თომა:** შემდეგ იმისა, რაც მე მოვისმინე ამდენი საბუთი სულის უკვდავებისა, მეც უფრო განვმტკიცდი ჩემს რწმენაზე სიკვდილის გაგრძელების შესახებ საიქიოს. მაგრამ მეტრ სარგებლობა ვნახე მე ამ საღამომინდელი საუბრიდან მითი, რომ ეხლა მე შემეძლება პასუხი მიეცე ჩემს ურწმუნო და ცთომილ ამხანაგებს, თუ ისინი კიდევ მეტყვიან, რომ „სიკვდილით ყველაფერი თავდება“, ან „მკვდარი მკვდარიო“.

**მღვდელი:** მე ძალიან მესიამოვნებოდა, თომა, რომ თქვენ ამიერიდან, როგორც საჭიროა დამტკიცდეთ თქვენს წმიდა სარწმუნოებაზე და აღიარავენ ნება არ მისცეთ, რომ შეგაცდინონ.

**თომა:** სიტყვას გაძღვეთ და ვეცდები კიდევ შეეასრულო იგი. მაგრამ კიდევ ერთი კითხვა: რა უნდა უპასუხო, თუ მითხრეს, რომ არაფერი სული არ არის კაცშიო, რადგანაც არაოდეს არავის არ უნახავსო?

**პეტრე:** ამ საკითხის პასუხი ძნელი არ არის. ასეთს მკითხველს მე კითხვითვე მიუგვებდი და ვეტყუდი: გინახავს როდისმე შენი გონება? რასაკვირველია, არაო, იტყუდა ის. მაშინ მე იმას ვეტყუდი: როგორც შენ არაღროს არ გინახავს შენი გონება, თუმცა როგორც მე ვფიქრობ, გაქვს იგი, ეგრეთვე სულიც, თუმცა მისი დანახვა არ შეიძლება. მაგრამ მაინც არსებობს.

**მღვდელი:** ეს ძალიან კარგად არის ნათქვამი. ასეთი პასუხი გააჩუქებდა დამკინველს. უფალი იყოს თქვენი მფარველი. ალბათ ხვალ კიდევ ვნახავთ ერთმანეთს. მაგრამ რადგანაც ვეღარი საკითხია, ამიტომ ხვალინდელი საღამო მაგას მოვანდომოთ.

**მეზვილე საღამო.**

რისთვის სტხოვრობს კაცი ქვეყანაზე!

როცა დაუკვირდები კაცის ცხოვრებას, ზრუნვით სავსეს, — ასე დაიწყა მღვდელმა, — შეიძლება იფიქრო, რომ ჩვენ მხოლოდ სააქაოსთვისა ვართ გაჩენილები და სხვა არაფერი დანიშნულება არა გვაქვს. და თუ კიდევ გესმის ეხლა გავრცელებული სწავლა: შესახებ იმისა, რომ ვითომც ალარც ღმერთია, ალარც მარადისობა, უნებლიეთ მტკიცდები იმ ცრუ აზრზე, რომ ჩვენ მხოლოდ სააქაოსთვის ვცხოვრობთ.

**თამა:** ჩვენ გვინდა ცა დედამიწაზე მოვაწყუოთ და არ გვინდა იგი საიქიოს: მდიდრები ხომ სტილიობენ რავდენადაც შეიძლება სასიამოვნოდ გახადონ თავისი ქვეყნიური ცხოვრება. სიამოვნებით და განცხრომით მიმდინარეობს მათი დღენი. რატომ ჩვენ კი ალარუნდა ვისურვოთ ეს? ასეთი და ამის შესავსი სიტყვები ისმის ჩემ ამხანაგთა პირიდან.

**შეტრე:** მაგრამ შენ ხომ ვერ შეგაცდენს ასეთი ლაპარაკი? როგორც ქრისტიანმა შენ იცი, რომ ჩვენ აქ სხვა მიზანი გვაქვს ასასრულებელი, ვიდრე დატკობა სიციცხლით.

**მღვდელა:** პატარა ბავშვიკი კითხულობს: რისთვის არსებობს კაცი ქვეყანაზე? ამაზე მოკლედ გიპასუხებთ: კაცი შექმნილია არა ამ ქვეყნისთვის, არამედ სხვა უკეთესის ცხოვრებისთვის, საიქიოს. მე ვამბობ:

1) კაცი შექმნილია არა ამა ქვეყნისთვის, მიტომ რომ ეს ეწინააღმდეგება კაცის ბუნებას, რომელსაც სწუურიან უკვდავება, შეუწყვეტელი ბედნიერება, როგორც ეს ჩვენ მოვისმინეთ წინა საუბარში. ჩვენ რომ მხოლოდ სააქაოსთვის ვიყვით გაჩენილები, ჩვენი ყოფის მიზნად რომ იყოს მხოლოდ ეს ქვეყნიური ცხოვრება, მაშინ ჩვენ ეიქნებოდით ყველა ქვე-

ყნის ქმნილებაზე უუბედურესნი. პირუტყვი კმაყოფილია ხოლმე, თუ აქვს საჭმელი და მოსვენება. მაგრამ კაცის გულს არაოდეს არ არის კმაყოფილი, მთელი ქვეყნის სიკეთეს რომ მისცე. სოლომონი, როგორც ვიცით, იყო ფრიად მდიდარი მეფე, შეეძლო ესარგებლნა ყველაფრით, რასაც კი იძლევა ქვეყანა და რასაც მოისურვებს ბუნებრივი კაცი. ის ასეც იქცეოდა, როგორც თვითონ მოგვითხრობს. მან გამოსცადა ყოველივე ხორციელისიამოვნება და განცხრომა, მაგრამ შწარედ მოსტყუებდა. ახლა მეორე უკიდურესობას მიმართა; ხელი აიღო ღვინის სმაზე და თავი შესწირა სიბრძნეს, ე. ი. ქვეყნიურს დიდებას. ის მოგვითხრობს თავის შესახებ, როგორი დიდი საქმეები დაიწყა, როგორ სასახლეებს აშენებდა, რგავდა ვენახებს, აკეთებდა აუზებს და შადრევანებს ბაღების და მკენარეთა მოხარწყავად. ის მოგვითხრობს, რომ მას ჰყავდა მრავალი მსახური და მხევალი, ცხენის ჯოგები, ძროხების ნახირი, ცხვრის ფარა უმეტესი. ვიდრე ყველას, ვინც მის წინ შეფობდა იერუსალიმში. ის აგროვებდა ყველა მეფეთა და მხარეთა ოქრო-ვერცხლს, თვალ-მარგალიტს და საუნჯეებს. ის იწვევდა ხოლმე მგონებს, რომ მიეღო სიამოვნება კაცური. მოკლედ, ის იყო მდიდარი ყველა იერუსალიმის მეფეებზე და ყველა ამასთან ერთად მას არ დაუტყვევია სიბრძნე, ე. ი. უმაღლესი იდეალები. არ ამბობდა უარს არაფერზე, რასაც კი მოინდომებდა მისი თვალი და არაფერს მზიარულებას არ უშლიდა თავის გულს, რადგანაც მისი გული ხარობდა ყველაფრით, რაც კი მქონდა მეფეს. „და მივიხილე მე ყოველთა ზედა ნაქმნართა ჩემთა, რომელი ქმნეს ხელთა ჩემთა, და რუდუნებასა, რომელი ვირუდუნე ქმნად, და ამა ესეცა ამაო და აღრევა სულისა და არა არს ნამეტნავობა მზესა ქვეშე“ (ეკლი 2, 11).

ა. პ.

(შემდეგი იქნება).

ქართული ენა სამეგრელოს სკოლებში\*).  
(გაგრძელება).

დიდი ხანი არ არის, რაც ქართულმა ენამ სამეგრელოს სამრევლო სკოლებში სასტიკი დევნა განიცადა. ამ ენის წინააღმდეგ ამხედრდა ცნობილი დეკანოზი ვოსტორგოვი, მას გაუჩნდნენ თანამოაზრენი, რომელთაგან დეკ. ვოსტორგოვის მეთაურობით გაჩნდა ქართული ენის წინააღმდეგი რაზმი, და დაიწყეს მტკიცება, რომ მეგრელები ქართველები არ არიან და, მაშასადამე, ქართული ენაც მეგრელების ენა არ არის და ეს ენა უნდა განიდევნოს სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდანაო. ყველამ იცის, რომ ამან დიდი აურ-ზაური ასტეხა, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია; მაგრამ ვოსტორგოვი, თითქო აქ არაფერიაო, უკან არ დახეულა, პირიქით უფრო მწარე ისრების სროლა დაუწყო ქართულ ენას. მიუხედავად იმისა, რომ დეკ. ვოსტორგოვი იყო ძლიერი და გავლენიანი, მისი ცდა უნაყოფოდ დარჩა, თუმცა კი ეს თითქო არ სჯეროდა მას. მას შეებრძოლა ქართველი სამღვდლოება (თეთრიც და შავიც), ყველა მოწინავე, ვისაც რამის დაწერა და გავლენიანობა შეეძლო, და გააკუდეს დეკ. ვოსტორგოვის და მისთა მიმდევართა წადილი, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ სამეგრელოში ქართული ენა, რომელიც, ღვთის შემდეგ, შეადგენს ერის უმთავრესს სათაყვანებელსაგანს, უნდა მოესპოთ და, როგორც ერთ დროს ლევიციმ სამინისტრო სკოლებში, შემოეღოთ მუნჯური მეთოდით რუსულის სწავლება და ამგვარი გზით გაერუსებინათ მეგრელები. ამ გარუსების პოლიტიკას, როგორც მოგახსენეთ, მედგრად შეებრძოლა საქართველოს მოწინავე პირები.

რა ვერ მიაღწია მიზანს, დეკ. ვოსტორგოვი განრისხდა მთლად საქართველოზედ და ქართველებზედ. ის იყო სულ იმის ცდაში, რომ რაიმე ფრად გაეუბედურებინა ისინი, ვინც ხელი შეუშალა მას თავისი პოლიტიკის გან-

ხორციელებაში. დაბეზლება და ცილის წამება ხომ იმის ხელში იყო! ბევრს აწერა ვოსტორგოვმა!! გურია-სამეგრელოს ეპარქიალური საბჭოს ზუგდიდის განყოფილების ყოფილ თავმჯდომარეს, მღ. ი. ბობოხიძესაც, რომელიც შეუდრეკელად ებრძოდა ვოსტორგოვის პოლიტიკას და არ თრთოდა იმის წინ, არ ასცდა დეკანოზი ვოსტორგოვის რისხვა, რომელიც (ვოსტორგოვი) მკაცრ წერილებს უგზავნიდა. მ. ბობოხიძეც შესაფერს პასუხს აძლევდა. ვოსტორგოვმა სცადა ეს პატიოსანი პიროვნება მიწასთან გაესწორებინა, მაგრამ იმდენი ვერაფერი აწერა, საინტერესოა, რომ მ. ბობოხიძე „შინაური საქმეების“ ფურცლებზე გამოაქვეყნებდეს ვოსტორგოვის წერილებს მისდამი და თავის წერილებს ვოსტორგოვისადმი.

მადლობა ღმერთს, ქართული ენა განუდევნელად დარჩა ჩვენს სამრევლო სკოლებში... მაგრამ სასურველი კია, რომ ერთკლასიან სკოლებში და ორკლასიანების პირველ ოთხ განყოფილებაში ქართულ ენაზედვე ისწავლებოდეს არითმეტიკა. მართალია, ახლაც ასწავლიან, არითმეტიკას პირველსა და მეორე განყოფილებაში, მაგრამ ერთსა და იმავე დროს რუსულზედაც და ბავშვები ქართულ კითხვაზედ რუსულად მიუგებენ; რუსულზედ-ქართულად და ასე ორივე ენა ერთმანეთში არეულია. აგრეთვე, ჩემის აზრით, ფრიად სასურველია, რომ პირველ წელს, ე. ი. პირველ განყოფილებაში, მარტოდ-მარტო ქართულ ენაზედ სწარმოებდეს სწავლა და რუსული იყწებოდეს მეორე წელს, იმიტომ რომ ბავშვები, ერთი წლის განმავლობაში კარგად შეითვისებენ რა ქართულ წერა-კითხვას, რუსულის სწავლა გაუადვილებათ. მასწავლებელიც უზომო შრომას მორჩება, ბავშვებიც უფრო მომზადებულნი დახვდებიან რუსულ ენას და ნაყოფიც უკეთესი გამოვა.

მაგრამ ეს კიდევ არ შეადგენს იმ უმთავრეს ნაკლს სამრევლო სკოლებისას, რომელზედაც (ნაკლებად) ხმის ამოდება ფრიად საჭიროა.

\*) იხ. შინ. საქ. № 11. ავტორს ესთხოვთ თავის მისამართი გვაცნობოს. რედ.

ყველამ იცის, რომ საზოგადოდ სამრევლო სკოლებში არსებობს სასკოლო ბიბლიოთეკა (школьная библиотека), რომელიც შესდგება რამოდენიმე ასი წიგნებისაგან, რომელიც „სკოლის გარეშე საკითხავ წიგნებად“ იწოდებიან. ეს წიგნები-ყველა რუსულია, ქართული არც ერთი არ ურევია. აი ამ სკოლის გარეშე საკითხავ წიგნებს უხვად იძლევიან სკოლებისთვის; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სკოლის გარეშე საკითხავი წიგნები ჩვენში, საქართველოში, ვერაერთად სარგებლობას ვერ იძლევიან (მე მაქვს სახეში სკოლის გარეშე საკითხავი წიგნები და არა სახელმძღვანელოები (учебники, руководства ამა თუ იმა საგნისა). ჩვენმა ბავშვებმა იმდენი რუსული სად იციან, რომ ეს წიგნები გადაიკითხონ და გაიგონ!.. ხალხისათვის ხომ სულ მთლად გამოუსადეგარია, ვინაიდან აქ საქართველოა და არა რუსეთი. რუსებს, გინდა იმათ წერა-კითხვა არ იცოდნენ, რუსული წიგნები რომ უკითხოთ, გაიგებენ და ბევრი განმარტება და თავის მტკრევა არ დაჯიქრდება. მაგრამ მიაწოდეთ მათ ქართული (გინდა ბერძნული-სულ ერთია) წიგნები, თუ ქვა და გუნდა არ მოგაყარონ! ესრევე ითქმის ქართველებზედაც, მოდი და უკითხე მას რუსული წიგნი, მერე გადაუთარგმნე. ვერც შენ დაუდებ გულს და, გინდა გულიც დაუდო, ცდა უნაყოფოა. ხალხიც უყრს ვერ დაგვადებს და გატყვის: „ეს მასწავლებელი (ესთქვით, მასწავლებელი) რას გაუგოებია, რას ბუტბუტებსო?“ ქართული სკოლების მარტოცა რუსული წიგნებით გამდიდრდება—მშვიდრისთვის ბურის მაგიერად ქვის მიწოდებაა, ვინაიდან იმდენათ გამოსადეგია ჩვენი ხალხისა და თვით ბავშვებისთვის რუსული წიგნები, რამდენადაც ქვა მშვიდრისათვის.

რად არიან რუსული წიგნები გამოუსადეგარნი! მასწავლებელი, მღვდელი ხომ წაიკითხავს და, თუ ყველა არ წაიკითხავს, რა ვუყოთო?“ — იტყება ბრძანოს მკითხველმა. მღვდელმა და მასწავლებელმა მარტო რომ იკითხონ, ეს სხვას რას გაუგოებენ? მაგრამ საქმეც ის არის, რომ თვით მასწავლებელიც მა-

ინც და მაინც ვერ ეტანება ამ წიგნებს ისე მაღიანად, თუ არ უკიდურეს შემთხვევებში, რადგან ჩვენებური მასწავლებლები ცდილობენ თავიანთი გონებრივი პორიზონტი გაათართონ ქართული წიგნების საშუალებით; რუსულსაც კი ჰკითხულობენ, რასაკვირველია, მაგრამ თუ მარტო ბიბლიოთეკის წიგნებით შეიზღუდა, მაშინ შენს მტერს იმისთანა, რომ მათ დაემართოს! იშვიათია ისეთი კაცი, რომელსაც ცოტადენი სწავლა-განათლება მიეღოს და საკუთარი ბიბლიოთეკა არ ჰქონდეს, ქართულ-რუსული წიგნებისაგან შემდგარი. მაშ, მასწავლებლისათვის არც იმდენი საჭიროა სკოლის ბიბლიოთეკა; მაინც და მაინც მასწავლებლისათვის არ მოაქვს მას დიდი სარგებლობა.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ მაგონდება ერთი ეპარხიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე, რომელიც ხელ-ქვეითს მასწავლებლებს ეუბნებოდა: „არამც და არაც არ იკითხოთ სხვა წიგნები, თვინიერ ბიბლიოთეკის წიგნებისაო. თუ თქვენ არა, სხვამ ვინ უნდა იკითხოსო!“ ერთმა მასწავლებელმა უპასუხა: „როგორ შეიძლება, მამაო მეთვალყურე! ბიბლიოთეკის წიგნების ამარა რომ დაერჩეთ, ხომ დაჩლუნგდება მთლად ჩვენი ტვინიო“—Вы должны подчиняться моимъ распоряженіямъ! Знаете ли вы, кто я? За кого вы принимаете меня? Не смѣй никто своевольничать! Что я говорю, для васъ законъ! მასწავლებელმა ხმა ვაკვირდა.

არ ვიცი ასრულებდნენ თუ არა მტკიცედ მასწავლებლები მეთვალყურის განკარგულებას, მარა ეს კი ვიცი, რომ მეთვალყურეს არავინ დაუტყრია თავის ბრძანების დარღვევაში.

მადლობა ღმერთს, ჩვენ არა ვაქვს ასეთი ბრძანება. თავის დროზედ ბიბლიოთეკის წიგნებსაც შევსცქეროდით და უმეტეს დროს ქართული მწერლობის ნაწარმოებს ვუთმობთ. გინდა ასეთი ბრძანებაც იყოს, აბა ვინ სულელი იღასრულებს ამის და ვინ გამოეთხოვება ჩვენი კლასიკური მწერლების ნაწარმოებებს; აკაკისა, ილიასის, ვიფა-ფშაველასის, ბარათაშვილისა და სხვათა და სხვათა ძეგლთა და ახალ მწე-

რატომ! არც რუსული მწერლობის ნაწარმოებნი ატყენს მასწავლებელს თავს: პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, დოსტოევსკი და სხ. განა არ არიან ღირსნი მასწ. ყურადღებისა მაშინ, როდესაც მათ ქვეყნის ყურადღება დაიმსახურეს? და ამ მწერალთა ნაწარმოებები განა არის სკოლების ბიბლიოთეკაში? თუ აქაიკ ურევია, ეს სულ მოკლე სტატიები და საბავშვო მოთხრობები ჩვენებური ბავშვებისთვის გამოუსადეგარი და მასწავლებლისთვისაც ინტერესს მოკლებული.

ფრიად სასურველია, რომ თითოეულს საშრომელო სკოლაში არსებობდეს ბიბლიოთეკა, ქართული წიგნებისაგან შემდგარი, რაც ფრიად დიდს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ბავშვებსაც და ხალხსაც. ბავშვს მიეცემოდა საკითხავი წიგნები თავის შესაფერი და მასწავლებელს მიეცემოდა საშვალება თამამად გაემართა ხალხისთვის კითხვა.

დიდად დაავალებენ სამშობლოს ის მოწინავე სასულიერო თუ საერო პირები, რომელთაც სკოლის ბედ-იღბალი ხელეობში აქვთ, რომ აღძრავდნენ, სადაც ჯერ არს შემდგომლობას, რომ გადაიდოს საქართველოს სკოლებში ქართული ბიბლიოთეკის დასაარსებლად ფული. თუ ფულის გადადებაზედ უარი განაცხადეს, ნებართვა მაინც გვექნეს ქართული ბიბლიოთეკის დაარსებისა ადგილობრივი საშვალეებით. იქმნას დაარსებული ფონდი სამრევლო სკოლათა და ამ კეთილი საქმისთვის არც ერთი კაცური კაცი არ დაიშურებს თავის წვლილს!

აღ. კეკელიძის პირად.

**კადნიერი წერილის გამო.**

მე მივიღე შეგრელი ერთი ბლალოჩინ დეკანოზისაგან შემდეგი წერილი:

ღირსო მამო რაჟდენ ხუნდაძე (უჩვეულო ტიტულია)! თანახმად საეპარხიო კანცელარიის მოწერილობისა გიგზავნით 16 მან. (16 „ტიბიკონის“ ფასს\*). რომელიც ძლივს გა-

\*) თითო წიგნის ფასი 1 მ. და 15 კ. ვახლავთ. რომელიც 16 მ. ზევით კიდევ 2 მ. აბაჟს. შეადგენს, ეს ფული თუ ეკლესიებს დაეთმო ჩემს მავიერ პო... თვით დათმო კიდევ პო და პო!...

ვასაღე. რადგან ეკლესიებს ქონდა: აწმყო დროში (აწმყო დრო, ალბათ მომავალი დრო ჰგონია მ. დეკანოზს) გთხოვ წინასწარ გამოითხოვოთ ნება, უნდათ თუ არა და ისე გამოგზავნეთ. თქვენ სამადლოთ როდი ურიგებთ, ფული გინდათ აილოთ!

**ბლალოჩინი დეკანოზი...**

ამ წერილმა გამაყვირა! მით უმეტეს, რომ მე მისთვის არასოდეს არაფერი მითხოვია, არც წიგნები გამოგზავნია და არც მისი „გასაღება“ დამივალეზია! ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ თავის ეპარქიის ყველა ბლალოჩინებს მისწერა: „როგორც ეკლესიისათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი (ტიბიკონი), ყველა ეკლესიებისთვის იყიდონ ეკლესიის ფულითო.“ მაშა დეკანოზი რაკი გურია-სამეგრელოს ეპარქიაში ბლალოჩინობს, ყოვლად სამღვდელს განკარგულება მიუვიდოდა. და თუ ეს ასეა მე რათ უნდა მეკითხა მისთვის გინდა თუ არა მეტი?! ნდომა, საჭიროების განსაზღვრა და მასთან ბრძანებაც მთელს ეპარქიაში ეპისკოპოსის საქმეა, ხოლო ბრძანების ასრულება და ისიც უცვლელათ ბლალოჩინების. ნუ თუ ბლალოჩინმა და ისიც „დეკანოზმა“ ეს არ იცის!

„თქვენ სამადლოთ როდის არიგებთ, ფული გინდათ აილოთ“-ო! ეს ხომ შეტათ გაბრაზების დროს ნასროლი სიტყვაა გულის სატყენათ მიმართული!! გასაკვირია, რა შეცდომა ჩავიდინე არ ვიცი...

ერთი ვკითხო მ. დეკანოზს: თქვენს საბლალოჩინოში: ეამნს, დავითნს, სამოციქულო-სახარებას, მარხვან-ზადიკს და სხვა საეკლესიო წიგნებს სამადლოთ ურიგებენ, როგორც თქვენ ბრძანებთ, თუ ფულით ყიდულობს ეკლესიები? უთუოთ ყიდულობს და თუ ასეა, ტიბიკონი, ყველა ზემო მოხსენებული წიგნების კლიტე, ნუ თუ ეკლესიამ არ უნდა იყიდოს? გეტყობათ მ. დეკანოზო რომ ეკლესიის სამსახურს არ აფასებთ. ალბათ კურთხევი სდროს „უფეგზამენოთ“ გასოსდით თქვენს დროს და ამიტომ დღესაც ტიბიკონის საჭიროება უმნიშვნელოთ მიგაჩნიათ!

ამ გვარათ არც წიგნებია საჭირო და თქვენ, როგორც ბლალოჩინი, რომ ამ აზრის ბრძანებულხართ, თქვენს საბლალოჩინო ეკლესიებსაც იმიტომ ჰქონია ოცი წლის წინეთ გამოცემული ტიბიკონი“ ხელუხლებელი, ჯერ გაუშლელი. რადგან ამას მეტათ არ საჭიროებთ, იმასაც არ გაუეციტ გული, რომ ახალი შედგენილი, უფრო საადვილო, გასაგები ენით და უფრო შევსებული იქნებაო და მისთვის ბრძანეთ „გვქონდაო“! კქონდათ თუ არა თქვენზე უფრო კარგათ იცოდა მან, ვინაც დაგავალათ მაგ წიგნების ყიდვა.

იმერეთში ასე არ გახლავს მ. დეკანოზო! სამღვდლოების კრებამ გადაწყვიტა ამ წიგნის (ტიბიკონის) ხელ ახლა გამოცემა და თითოეულ მღვდელს მუდამ ტრაპეზთან უდევს კონდაკთან ერთად პატარა საწიგნეზე. არა თუ მარტო იმერეთში. ქართლ-კახეთის ეპარქიაშიდაც ძვირათაა ისეთი ეკლესია, რომ ეს წიგნი არ წაეღოს. თვით ეკზარხმა ინება განკარგულება, რომ ეკლესიებმა შეიძინოს ეს წიგნი და თქვენ კი საყვედურებით მბერავთ, მაშინ, როდესაც მრავალთაგან წერილებით მადლობა მივიღე ამ წიგნის გამოცემისთვის. მე მგონია, დეკანოზობას ეკლესიის კარგი სამსახურისთვის იძლევიან და ეკლესიაში, რომ ეკლესიის უსაჭიროესი წიგნი არ გაატაროთ, ვერაფერი სადეკანოზო ეკლესიის სამსახურია! ტიბიკონი, ღვთის მსახურების სრულებათ; წირვა-ლოცვის შნო და სიმდიდრე; მისი ბეჯითათ ცოდნა ღვდლისათვის ძვირფასი სამკაულია... ხოლო არ ცოდნა, ღვთის და სინდისის წინაშე მატყუარობა... ერთს სამედავიტონოს, რომელმაც „ეკზამენი“ ვერ დაიჭირა ტიბიკონში, ყოვლად სამღვდლო გიორგიმ ასეთი „რეზოლიუცია“ დაუწერა: ტიბიკონის უკოდინარი მღვდელი და მედავიტონე უიარალო სალდათიოო. თქვენზე კი ასე ითქმის მამო „დეკანოზო“: „თქვენ შეარახვალთ და შემეფალთა აყენებთ არა შესვლიად“.

ღვდ. რ. ხუნდაძე.

ბზობა ქუთაისის ზეტრე ზაზულეს ეკლესიაში.

ბზობას პეტრეპავლეს ეკლესიაში ლამისთევით ლოცვა, ტიბიკონისამებრ, შაბათ საღამოს არ გადაუხდიათ, ხალხი ჩვეულებისამებრ აუარებელი მოაწყდა სანთლებით. ელოდენ ტიბიკონისამებრ ბზობის წესის შესრულებას. მაგრამ უბირატესმა არ ინება დასაბამითი ჩვეულების შესრულება და მხოლოდ მწუხრი ილოცა იმ განზრახვით რომ მეორე დღეს ადრე თავისუფლად შეესრულებია საეკლესიო წესი ბზის კურთხევისა (ვისთვის?). ამის შესახებ უბირატესსა და მის უტროს მღვდელს შორის შემდეგი ლაპარაკი ყოფილა.

უც. მღვდ. — რა დროს ინებებთ, მამო დეკანოზო ცისკრის შესრულებას?

ღვკ. — რა დროსაც ტიბიკონი უჩვენს.

უც. მღ. — ტიბიკონში საათი არ არის ნაჩვენები.

ღვკ. — არ ვიცი, ჯერ ვნახავ და მერმე გეტყვი.

დილით ადრე დეკანოზმა ცისკარი გამოიყვანა ბზაკურთხა. ხალხი, რა თქმაუნდა მცირე დაესწრო და წესიერებაც შესახიშნავი იყო.

მსოფლიო კრებები სასტიკად უკრძალავენ ყველას ძველ ჩვეულებათა მოსპობას. ასეთი თვითნებობა საეკლესიო საქმეში გლახათ მოქმედებს ხალხის სარწმუნოებრივ გრძნობაზე.

ხელი.

### ეოგელ-კვირეული პროვინციელისა.

მოვა ბრწინვალე ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღესასწაული და ამას თან მოსდევს აუარებელი დღეობები: გიორგობა, ოქტონობა, კვირატხოველობა ამაღლება, ვარდობა და სხვა-



ნი ბევრი „ობანი“. რას ნიშნავს საზოგადოთ უქმობა და რაში გამოიხატება იგი?

შეოთხე მცნებაში სწერია: „ექვს დღეს იქმოდე და ჰქმენ მას შინა ყოველივე საქმენი შენნი, ხოლო დღე იგი მეშვიდე. შაბათი, უფლისაღვთისა შენისა“. კვირა-უქმეებში დღე-სასწაულმა ღვთისაგანა დაწესებული: და აკურთხა ღმერთიან დღე მეშვიდე; და წმიდა ჰყო იგი. უქმობა გამოიხატება ა) ჩვეულებრივ „ქვეყნიურ ზრუნვაზე“ ხელის აღებაში, ბ) კეთილ საქმეებში, მოწყალება-შებრალებაში აღმაშენებელად და შინაურცხოველებისადმი. გ) ეკლესიაში სიარულში სალოცავად და მოძღვრების მოსასმენად.

ურციები უქმობენ შაბათს. მეშვიდე დღეს, ჩვენ, ქრისტიანები კი — ერთს შაბათს ანუ კვირას, როდესაც აღსდგა ქრისტე ღმერთი და შით გვიხსნა საუკუნო სატანჯველისაგან. როგორც პირველებს ისე უკანასკნელთ უქმობა ეწყებოდათ მწუხრიდან, საღამოდან წინა დღით და უთავდებოდათ უქმეს საღამოთივე.

როგორ უნდა ვიუქმოთ კვირა დღე? ამხედ თვით მაცხოვარი ბრძანებს: ვინ არს თქვენთაგანი კაცი, რომელსა ედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯურღმულსა, არამე უპყროსა და აღმიტყვას იგი. (მათე 12, 11, 12). აქედამ ის გამოდის, რომ მიუცილებელი საჭირო საქმეების კეთება უქმეს შეიძლება და გარდა ამისა საქველმოქმედო საქმე პირდაპირ იმ დღეს შეეფერება. ჩვენ კი ასე წარმოგვიდგენია: დადგება თუ არა რაიმე კვირა-უქმეები უნდა „ვაშხიარულოთ“ გულიო, ეს ხომ გრძნობის უქმობაა. შეიქნება პატივი, ბაზათების და კაცების გზავნა სტუმრების მისაღებად, ერთი თვით სამზადისს შეუდგებიან, ყიდულობენ სურსათს: ღვინოს, პურს, ხორცს, წინა დღით სოფელში სტუმრები უკვე ჩაბინავებული არიან მასპინძლებთან, იმ ღამეს ვახშმათ დიდი ღრიანცელია ყველგან, მეორე დღეს საუზმე, ამას სადილი მოუმატეს და იქვე ვახშობა, მოატანს, მესამე დღეს საღამოდი სმაში იტარებენ დროს საცოდავი მასპინძელი ცოლ-შვილიანა სდგას ფეხზე „უძილარი, დაღ-

ლილ-დაქანკული და შიაკვს რაც კი შეიძლება სტუმრების პატივისსაცემად, ხარჯი ხარჯათ მიდის, ცდენა კიდევ სხვაა, მუშაობა სადღა ერთს კვირას მაინც; იმ დღეს ეკლესიაში წირვაზე არაფერ გავა, თუ ვინმე გავიდა ისე, სალოცავად კი არა „გულის გადასაყოლებლად“, უფრო ახალგაზდანი, „სალაზღანდაროთ“, „სალალომოთ“, ეკლესიის გაღაფანში ისიც, — ეკლესიაში არაფერ შევა და თუ ვინმე შევიდა, უსათუოდ იცინის, ან მასხარობს და ხანდისხან ზეზე ჩამოედინება; მღვდელს უშლის წირვა-ლოცვას. გამოანგარიშებულია, რომ გადაიღოს ის ხარჯების ფული, რაც ერთს წელიწადს ერთი „ობის“ გადახდაში სოფელს დასჭირდება, უსათუოდ ორას-სამას თუმანს შეადგენს, რითაც რასასარგებლო საქმეს არ გააკეთებდა კაცი!

ამბობენ დღეობებში ერთმანეთს ნახვენ დიდის ხნის უნახავი ნათესავეები, მეგობარ-ნაცნობნი გაუზიარებენ გულის ნადებს ერთმანეთს, შესჩივლებენ დღიურ კირ-ვარამზე. მაგრამ ეს ასე არ ხდება. ჩვენში, ძველად ქართველებმა იცოდენ უქმობა, მაგრამ ისე კი არა, როგორც დღეს. წინა დღითვე შეიკრიბდნენ თავს ეკლესიის გაღაფანში „შეპირებისამებრ“, ზოგი მოდიოდა ფეხ-შიშველი, ზოგი „რკინის უღლით“, ზოგი თეთრს ტანისამოსში; იქ „ღამეს გაათვედენ“ ლოცვა-ვედრებაში, მეორე დღეს წირვაზე ესწრებოდნენ და რასაც შეძლება ჰქონდა სწირავდა თავის მონაგებიდან ტაძარს, მაგ. სანთელს, საკმეველს, ზედაშს და სხვ. მეორე დღეს ნაწირვებს, ნახავდა ნათესავს, და წავიდოდა შინ; თვისი სურსათი თან ჰქონდათ წამოღებული, გაღაფანში აკეთებდნენ და იქვე სადილ-ვახშობდნენ ერთად. დღეს პირ-იქით სოფელში ნათესავი კი არა, „არა მკითხე“ სტუმარი მოდის, საყდრისაკენ არ მიიხედავს, ხანდისხან მასპინძელმაც არ იცის ვინაობა, დაჯდება და სუამს თავ-დავიწყებამდე სამი დღე და ღამეს შემდეგ, შეიძლება ჩუბიკ მოსაყოლოს, იქაურობა მიღვეწ-მოღვეწოს ან სხვა რამე უბედურობა დაატრიადოს. ეს არის ქრისტიანული უქმობა? სრულიადაც არა! ღმერთმა ვეშოროს!... დროა მოვიდეთ გონს.

ასეთს „უქმობას“, ჩვენს დამლუპველს, თავი დავანებოთ. ეს ხარჯები თავიდან ავიციდინოთ, თორემ უამისოდაც ჩვენ ეკონომიურად დაქვეითებული ვართ და ასეთი ურგები ხარჯები თლად დავვაბეჩავებს. სხვა ქვეყნებში წინ მიდიან, აქ უკან ვიწვეით. ფხიზელის თვლით შევხედოთ საქმეს, კარგი ჩვეულება მივიღოთ და შევისისხლობოცოთ, ცუდს, ჩვენს დამლუპველს კი ზურგი ვაქციოთ. აქ საჭიროა ისევე თავიანობა, ხოლო ამას უნდა სოფლის მღვდლები და მასწავლებლები კისრულობდნენ, რადგან პირველად იგინი არიან სოფლის „ბროლინი და სანთელნი“.

კ. გჳელი

### ახლო-მახლო.

Несчастливаго отъ твоего порога  
не отгоний,  
Просящимъ у тебя во имя Бога  
всегда подай!..  
Отъ Бога все, что человекъ имѣ-  
еть... Завѣтъ ему:  
„Давшаго рука не оскудѣтъ,“ —  
Вѣрь тому!..

А. Кругловъ.

ერთგან ნათქვამი მაქვს: — „სჯულს მარტო სასულიერობა არ იცავს და არც შეუძლია დაეცა! არა ნაკლებ იცავენ მას განათლებულნი და გონიერნი საერო წოდების წარმომადგენელნი“ — მეთქმ. — ერთ ამგვარ საერო წოდების წარმომადგენელთაგანზე მსურს ვესაუბრო დღეს მკითხველს. — 1899 წელს პეტერბურგში ერთი ახალი გაზეთი გამოვიდა: „Русское Чтение“, მეტად ღარიბი შინაარსით, მაგრამ ისევე ღირებულია... მისი არსებობა არაფრით სახარბიელო არ იყო... მაგრამ დახეთ ბედის გაღიშებას! — მეორე წლიდანვე გაზეთის ერთი ახალი თანამშრომელი მოველინა: პატრიკუმული პუბლიცისტი-მოწოდისტი ალ. კრუგლოვი; გამოვიდა ის თავის „простые мысли“-თ (ამ სათაურით იბეჭდებოდა მისი ფელეტონები)

და გაზეთიც გამოაცოცხლა... მის თანამშრომლობას ზედ მოყვა ხელის მომწერთა რიცხვის შესანიშნავად გამრავლება; თუ პირველად ეს რიცხვი 5—6 ათასს არ აღემატებოდა, ბ. კრუგლოვის წერილებს შემდეგ, ჩემს საადრესო ბანდეროლს 35 ათასზე რამდენიმეთ მეტი ნომერი ესვა ხელის მომწერთა, ისიც მაშინ, როცა მე ყოველთვის დეკემბრის პირველ ნახევარში ვეკეთდი გაზეთს. — შეიძლება ითქვას: — „ერთი მერცხლის ქიკვილი ამ ზომამდე ვერ გაუმრავლებდა გაზეთს მკითხველებს; ეს გაზეთის ზრდას, ან სხვა რამ საპატიო მიზეზს უნდა მიეწეროს“, — მართალია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვენდოთ ციფრებს: მას შემდეგ, რაც კრუგლოვმა გაზეთის თანამშრომლობას თავი გაანება და საკუთარი გაზეთი გამოსცა მოსკოვში, — „Рус. Чит.“ ხელის მომწერთა რიცხვი შესანიშნავადვე დაეცა, დავიდა თითქმის ნახევარზე დაბლა. — აქიდან აღვილი წარმოსადგენია, რომ ბ. კრუგლოვის გავლენა, თავის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სწავლით, ერთობ დიდი იყო... რა თქმა უნდა, იტყვიან იმასაც, რომ შეუძლებელია ზნეობა — სარწმუნოების შქადაგებელს, ისიც საერო პირს, ამდენი გავლენა მოეპოვებია დღესო. — იტყვიან და დარწმუნებულები ვარ, რომ ამას პირველად მოინტელიგენტე ქართველი იტყვის, მაგრამ, ჯერ ერთი, წარმოიდგინეთ, რომ ყველა ქართველი როდია! ქრისტეს მოძღვრებას, ყველა როდი გაურბის, ვით კეთროვნებას!.. და მეორედ საქმეც ის არის, რომ საერო პირმა შქადაგოს ქრისტე და მით დაარწმუნოს ხალხი, რომ სჯული მარტო მღვდლებისთვის კი არაა საჭირო!.. ნურავინ შესცდება მით, რომ საერო პირთა ასეთი მოღვაწეობით, ვითომც მღვდელს ლუკმა გაუღდიდდეს!.. ქრისტეს საბარების ქვეშაობითად შქადაგებელს, თვით საერო პირსაც, წაურთმეველად აქვს ზნეობრივი უფლება უმგვიანო მიმართულების სასულიერო პირიც დედა-მიწასთან გაასწოროს, არ მისცეს ნება მისი მოღვაწეობით ავად ისარგებლოს (აიღეთ შესანიშნავი პუბლიცისტი ნ. დურნოვი.) და სწორეთ, თუ დღეს, საერო

პირის გამოლაშქრებას, სასულიერო პირზე, უბრალო მტრობას აწერენ, მაშინ მის ხმას მაღალი აზრი და დიდი გავლენაც ექნება: ერთი მხრით, უმჯვანო მიმართულების სასულიერო პირს გაასწორებს, ან „იოანეს ცულს“ ფეხ ქვეშ დაუდებს და მეორის მხრით, ხალხს შეასმენს ზნეობრივ-სარწმუნოებრივ სწავლას, ურომლისოდ მას გაპირუტყვება მოეღოს.—

ჰქადაგოს ქრისტე!.. მაგრამ როგორ?

აი, ჩვენ წინ ძვეს ნარ-ეკლით მოფენილი ველი; ითხოვს მუშას.—აი, მუშაც! მაგრამ მუშა, რომელმაც არ აცის მცენარეთა ცხოვრება და თვისება... ის იპყრობს ხელში სრულიად შეუსაბამო იარაღს—სახსლავს და ეშვება ნარ-ეკალში.—აქ წვერში გააკრა სასხლავი ეკალს, იქ შუაზე, სხვაგან ძირში... როცა ზენა ამოვარდა, დასავლეთით მისცა ცეცხლი, როცა ქვედა—აღმოსავლეთით... მიდის წინ და წარამარა იქნევს იარაღს... მიბრუნდება, დაინახავს, რომ გასხლულ ნარ-ეკალს უფეთქავს და ერთიორად მოდებია ველს.—„ფუ“—იძახის ხელ ფეხ დაღლეტილი და სახე დაქუცული მუშა, აგდებს ხელიდან იარაღს და ჩრდილში ისვენებს... მოდის მეორე მუშა, ჰკაფავს და ცეცხლს აძლევს ბარდ-ეკალს, ამზადებს ნიადაგს, სთესავს და მოჰყავს მოსავალი... ამ უკანასკნელ მუშათაგანს ვადარებ ბ. კრუგლოვისა. —მისი ფელეტონები არ იყო მკვდარი— „კაზიონური“ ქადაგება; არ იყო უსისხლ-ხოროცო, დავალებით წარმოთქმული, მოძღვრება; არც უსულ-გულო, მოსაწყენი და ძილის მომგვრელი სიტყვა; ის იყო გულის სიღრმიდან აღმონახეთქი ჩუხჩუხა წყარო, ცათა სასუფეველის ცეცხლი; მთელი ცხოვრების სიგრძე-სიგანის მკოდნე ადამიანისაგან ოქროს ძაფზე დაცმული მარგალიტის მარცვლები: უბრალოდ და სადად გამოქანდაკებული მაღალი და გონივრული აზრები; მოძღვრება, რომლის უარის ყოფა არ შეეძლო თვით დაბოლიაყებით ზნეობა წაშლილ ადამიანსაც... საფუძველი მისი მოძღვრებასა იყო სახარება; დედა აზრი მისი სწავლისა იყო ქრისტესაგან ნიქადაგები სიყვარული; სიყვარულის მოძღვარი—იოანე ღვთის-

მეტყველი მას ოქროს ტახტზე აყავდა.—ერთგან ის დანას ადარებს იმ სწავლას, რომელიც სახარებით არ არის განათლებული:—„...სწავლა, თავის-თავად, არც კეთილი და არც ბოროტი, არც სინათლეა და არც სიბნელო,—ამბობს ის,—ის არის დანა, რომელიც პურს დასჭრის, მაგრამ კაცსაც დაკლავსო“...—მეორე ადგილას, ქრისტეს მოძღვრების უცოდინარ (ურწმუნო) სწავლულს ქვას ადარებს:—„ბნელს ოთახში ძვეს ქვაო,—ამბობს კრუგლოვი,—რომელიც სიბნელის გამო არ იხილვება, შევიდეთ ოთახი სანათით ხელში, ეხედაეთ, რომ ოთახში განათლდა, ჩვენ დაენახეთ ქვა და კარგადაც გავსინჯეთ ის. ქვას ნათელი მიადგა, მაგრამ სახე კი არ შეუცვლია, ის ისევ ქვაა, რომლისაგან შეიძლება გამოქანდაკდეს ანგელოზის სახე, მაგრამ შეიძლება გაკეთდეს ეშმაკის გამოხატულებაც... სწავლაში კაცმა სახე თუ არ შეიცვალა, ე. ი. არ მიეშვავსა მას, ვინც არის თვით განუსაზღვრელი სიყვარული, ხომ შეიძინა იარაღი—დანა, რომლითაც, შეხვდება, პურს დასჭრის. შეხვდება, კაცსაც დაკლავსო“.—კიდევ სხვაგან, ურწმუნო სწავლულს ძალიან დაბლა აყენებს კრუგლოვი:—„თუ ცოდნა არ აკეთილშობილებს კაცის სულს, არ იწვევს მასში უღრმეს სარწმუნოებრივ გრძობას, არ ეხება მის ზნეობრივ მხარეს, ის კაცი არ არის ქვემარტად განათლებული, თუ გინდ, რომ იკოდეს უკანასკნელი ზღაპრიდან, უუშვერვალეს მეცნიერებაშიდის ყოველისფერი და თუ გინდ რომ ის ლაპარაკობდეს უფრო ბევრ ენებზე, ვიდრე კარდინალი მეცოფანტი, რომელმაც იცოდა აზ ენაო,“—ამბობს ის.

საზოგადოდ, ამგვარი შინაარსისა იყო კრუგლოვის წერილები და სწორეთ იმიტომ გარბოდენ თვალნი მის ფელეტონისაკენ; მით დაიმსახურა მან მკითხველთა ყურადღება.

ბ. კრუგლოვის მოგონება ჩემში გამოიწვია, თავში მოყვანილ პატარა ლექსმა, რომელიც კედლის კალენდრის ამ თვის ერთ-ერთ ფურცლის უკანა გვერდიდან ამოვიკითხე და მისი ავტორის მოგონებით დიდი სიამეც ვ-

გრძენ... ბ. კრუგლოვის დამახასიათებლად, მისი ახოვნების ასაწონად ეს პატარა ნიმუშებიც კმარა. —

სამწუხაროა, სხვა რომ არა იყოს, როცა ევროპის განათლებულ სახელმწიფოებში და თვით რუსეთში თუ სჯულის დამცველი საერო მწერლებ-პოეტები და თვით მეცნიერებიც ერთობ ბევრია, საქართველოში ასეთი ვინმე თითოთ საჩვენებლადაც არა გვეყავს... სამაგალითოდაც არავის უნდა ქრისტეს მოძღვრებაზე დაფუძნებულ ზნეობაზე რამე ილაპარაკოს, თუ არა ისეთს ზნეობაზე, რომელსაც, შეიძლება, გარგვხულ-მოქალაქობრივი ზრდილობა — დაერქვას...

მაგრამ არ მსურს ვცდებოდე; იქნება კიდევ სურს ვინმეს ამ ასპარეზზე გამოსვლა... მხოლოდ ვერ ბედავს, ვერ გამოდის, რომ თავზე ყოყინა არ დააყარონ. — ამის წინეთ ბ. ტ. ჯაფარიძემ რადენიმე მეცნიერული წერილი გამოუშვა „შინაურ საქმეებში“, რაც ძვირფასი საჩუქარი იყო ჩვენი ღარიბი ლექტურისათვის, მაგრამ... ასეთი ძღვნისთვის, ერთ-ერთ ზენმა მასხარა — უკაცრად — იუმორისტულ გაზეთმა (მგონი „მათრახი“ იყო), თავისებური ოხუნჯობით, „ოქროს კალმით“ დააჯილდოვა ავტორი. ამის შემდეგ, ბ. ჯ. — ძეს ერთი წერილიც არ უძღვნია „შინ. საქმეებისათვის“... ერთის სიტყვით, როცა განათლებულს ქვეყნებში, მამულის ერთგულ და ნამდვილ შეილებს თავის ზნეობრივ მოვალეობად მიიჩნიათ ზნეობა-სარწმუნოების დასაცველად გამოსვლა, თავის სამშობლოს საკეთილდღეოდ, ეს სასიცხოხოთ მიიჩნიათ საქართველოში!... აქედან დასკვნა ერთია: საქართველოს ბევრად წინ გაუსწრია განათლებით ევროპის სახელმწიფოებისათვის! (Sic) — სწორეთ ამიტომ ფიქრობენ ქართველები, რომ სჯულს მარტო სასულაელობა იცავს... და არც სკდებიან, მხოლოდ საქართველოში!..

სორტელი სტუმარი.

## კვირიდან-კვირაძდე.

გაბრიელ ებისკოპოზის ცხოვრების და მოღვაწეობის წიგნის ნამომკემლნი ამით აუწყებენ ხელის მომწერთ და საზოგადოებას, რომ გამოცემა დაგვიანდა პეტერბურგიდან კლიშეების დროზე მოუსვლელი გამო. ნამომკემლები ბოდიშს იხდინ პატივცემულ საზოგადოების წინაშე და აუწყებენ, რომ მაისის ბოლოში წიგნი სრულიად მზათ იქნება და დაურიგდება ხელის მომწერლებს.

ქართულ ეურნალ გაზეთების რედაქციებს კვლავ მოუდით სამგლოვიარო წესილები, რომელშიდაც გამოსთქვამენ თავის მწუხარებას არჩილ ჯორჯაძის უდროვოდ გადაცვალების გამო.

ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოზი გიორგიმ 31 მარტს აკურთხა ჩიხის (შორ. მაზრა) ახლად აშენებული ეკლესია და უკან გამობრუნებისას ინახულა მღვიმის დედათა მონასტერი.

ნეტარ ხსენებული გაბრიელ ებისკოპოზის ქადაგებების პირველი ტომი უკვე დაიბეჭდა და ამ კოტახანში გამოვა გასასყიდათ, იბეჭდება მეორე ტომიც, რომელიც მალე გამოვა.

შინაური საქმეების რედაქცია აუწყებს თავისი მკითხველებს რომ ის მომავალ გიორგობის დღესასწაულისთვის გამოცემს მთავარ მოწამე გიორგის ცხოვრებას. წიგნი ეღირება ერთი შაული. მსურველთ შეუძლიან დღეიდანვე დაიკვეთონ.

ამას წინაღუდ გადამწვარი მედავითნე გაიოზი ძიგრაშვილი კვლავ მიმართავს თავისი თანამომხეებს, რომ ნათ თანაგრძნობის ხელი გაუწოდონ რითაც იქნება.

უწმინდესმა სინოდმა გადასწყვიტა პატრიარქი გერმოგენი წმინდანთა შორის ჩარიცხოს.

ამ უმათ საზღვარ გარეთ იქაურ განათლებულ საზოგადოების ყურადღება მოიპყრო ჯერ სრულიად აგალგაზრდა მემუსიკემ ირაკლი ჯაბადარმა (შვილია ცნობის ფურცლის და ქართველ გამოცემელთა ამხანაგობის დამარსებელის ჯაბადარის). განსაკუთრებით აღტაცებაში მოიყვანა ჩვენი სიმღერებმა, რომლებიც მან თავისი კურთხეული ნიჭით ნოტებზე გადიტანა და მით დაანახა კაცობრიობას, რომ პატარა საქართველოსაც ქონია სმენის დამტკბობი სიმღერები და მათი უკვდავ საყოფათ მემუსიკენი მაზე დიდ იმედებს ამყარებენ საზღვარ გარეთ, და ადარებენ გამოჩენილ მემუსიკეთ.

რკინის გზის მთავარმა სამმართველომ 273,000 მ. გადასდო ამიერ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა სააღდგომო საჩუქრათ.

თბილისში უმაღლესი სასწავლებლის პოლიტექნიკუმის აშენების საქმე უკვე გადაწყდა. ამ საქმის თაობაზე შეკრებილია კერძო პირებიდან ორი მილიონ მანეთზე მეტი. ეხლა ქართველი თავად აზნაურობა წირავს შენობის ასაგებათ საბურთალოზე ორას დესიატინაზე მეტ მიწას.

სალონიკის რუსეთის საკონსულოს მოხელეს მანსუროვს, რომელიც მთავრობის მიერ გაგზავნილი იყო ათონის მთაზე, გამოუთქვამს აზრი, რომ სრულებით არ არის საჭირო ათონის მთაზე ბერების რესპუბლიკის დაარსება; ათონი უნდა საბერძნეთს ეკუთვნოდესო.

1912 წ. სათათბიროს შენახვა ხაზინას 2 მილიონ ექვსას ათას მანეთად დაუჯდა. აქედან დებუტატებისათვის მიუციათ 1.830,000 მანეთი.

ამას წინაღუდ ვწერდით პეტერბურგის სამხედრო აკადემიაში გაფიცების შესახებ. ეხლა გაფიცები შეწყდა სტუდენტების ნახევრობამ აკადემიაში დაბრუნება იხოვა დანარჩენები გავიდნ აკადემიიდან.

სტავროპოლას სასულაქრო სემინარია, ხსენებულ სემინარიაში მოწაფეები გაიფიცნ და შიმშილობა გამოაცხადეს. მოწაფეები მოთხოვენ ინსპექტორის თანაშემწის სამსახურიდან დათხოვნას. ასეთი მოთხოვნილება წინათაც წარუდგენიათ შკოლის მთავრობისათვის, მაგრამ ვერას გამხდარან.

## ამგრაღაურის

საბლაღოისინო ოლქის საძღვდელოების კრებაზე.

ნათქვამია, მოყვარეს პირში უძრავ მტერს ზურგს უკანო. მეც ამ აზრით გამსკვალულმა ჯერ პირდაპირ ვამხილე რამოდენიმე მღვდელი ჩვენი საბლაღოისინოსი და, რომცა ამან არ გასჭრა, მეოვე წარსული წლის გაზეთ „ზინაური საქმეების“ ერთ ნომერში ვაკვრიით შევეხე მათ საგმირო საქმეებს; მეგონა, იცნობდნ რა თავის თავს იმ ზემ წერილში, ან პასუხს გამცემდნ, თუ ტყუილს ვსწერდი, და ან გაჩუმდებოდნ და თანაც გასწორდებოდნ, თანდათან უკუაგდებდნ სამარტინო საქმეებს. მაგრამ მწარეთ მოვსტყუედი, მათ თუმცა გაჩუ-

მება ამჯობინეს, მაგრამ გასწორების კი რა მოგახსენათ, ისევ უწინდებურათ განავრძობენ შეუფერებელ საქციელს. აი კიდევ ერთი მაგალითიც მათი საგმირო საქმეებისა:

წარსული წლის ნოემბრის თვეში ბლალოჩინს მამა ფანჯაიძეს სამღვდლოების კრება ჰქონდა ს. ამბრალოურში. კრებას დაესწრენ მღვდლებს და პრიჩედნიკებს გარდა გარეშე პირებიც. კრების განხილვისთანავე კეთილმოწყვემ, სხვათა შორის, სამღვდლოებას გამოუცხადა, შეწირულობას თხოულობენ დიდებული ბაგრატის ტაძრის ვალაყნის გასაკეთებლად და სხვა კეთილი საქმისთვისო, თანაც დასძინა, თუ შეიძლებოდა, ამ საქმისთვის თითო მანეთი მიიღო გაეღო კრებულს. გაათავა თუ არა ბლალოჩინმა გამოცხადება, ფიცხლად წამოიჭრა ცნობილი მოვაჭრე მღვდელი ი. ჯ—ძე ამოიღო ათშაურიანი, ქუჩის ბიჭივით ესროლა ბლალოჩინს და თანაც უხეში სიტყვები დააყოლა: „წაიღე ეგ ათშაურიანი! ყველა ყაჩაღები, რაზმონიკები ხართ და გეცარცვავთ“. ამ გვარი სიტყვის გაგონებაზე ყველა შეწუხდა, გაფითრდა, მხოლოდ ბლალოჩინს ყურიც არ უთხოვებია, თოთქოს არაფერიც არ მომხდარიყოს, სანამ სხვამ არ მიაქცია ყურადღება. მაგრამ რა გამოვიდა, მაშინაც ორიოდ სიტყვა უთხრა და განავრძო კრება. ზღილობა, პატიოსნება და გამჭრიანობა მოითხოვდა, რათა მას რივიანათ დაეტოქსა თავხედი მღვდელი, თუ ოქმს არ შეადგენდა, ბოდიში მიიღო უნდა მოეხდევინებია კრების წინაშე. ეს არ მოხდა და, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, არც მოველოდით, რადგან საზოგადოთ ყოველ ამგვარ მოქმედებაზე ბლალოჩინი განუშებულია, და თავხედ მღვდლებს არ ტუქსავს. კმარა მამებო, მარილნო და სანთელნო ქვეყნისა, დროა გონს მოვიდეთ, თავი დაეანებოთ საგმირო საქმეებს, კეთილი გზა ავირჩიოთ და ისე ვიაროთ. ვისაც სამღვდლო ხარისხი ამძიმებს და არ მოსწონს, კეთილ-ინებოს. ანაფორა გაიხადოს და შესაფერი თანამდებობა ეთოს. თორემ რას ვაყვს გარწმუნებთ დავკინდით, ყოველივე

ღირსებას ვეარგავთ ხალხის თვალში ზოგიერთებისთანა ძმების მეოხებით და წყალობით.

ზოტველი.

## ზივლიოგრაფია.

(„სასოფლო გაზეთი“. ყოველკვირეული სამეურნო, საოჯახო ჟურნალი).

ამ ოც და ათი წლის წინათ საქართველოში, ამ უძველეს მეურნეთა ბუნებით უმდიდრეს ქვეყანაში სამეურნეო ჟურნალის სახსენებელი სადაც არ იყო, მხოლოდ, ათასში ერთხელ, საზოგადო ხასიათის პრესაში თუ ვინმე კუდიან ვარსკვლავივით უეცრათ და სრულიად მოულოდნელადაც გაიღვებდა და ქართველ მკითხველ საზოგადოებას მოაგონებდა, რომ ევროპასა და ამერიკაში არის ქვეყნები, სადაც მეცნიერების წყალობით საოცრად აყვავდა მეურნეთა ცხოვრება, სადაც სოფლის მშრომელი ხალხი სხვადასხვა ახალ-ახალი შეძენილი იარაღებით გაცილებით უფრო ნაკლები შრომით და კაპიტალის დახარჯვით უფრო მეტ შემოსავალს და დოვლათს იძენს ვიდრე ჩვენისთანა უმეცარი ხალხი, რომელიც არც სხვისგან სწავლობს რასმე ახალს, და დღესაც ნოესა და ენოქის დროის მამაპაპურს კე-სახნის, გუთანსა და ბარს ხმარობს და მას სიკვდილ-სიციცხლით შესისხლხორცება...

სწორეთ ამ ოც და რვა წლის წინათ განსვენებულმა ივანე კერესელიძემ გამოსცა თფილისში სამეურნო გაზეთი „ციცკარი“ რომელიც უსახსრობის გამო, მალე დაიკეტა. ამის შემდეგ, მონპელიეში გაზრდილმა აგრანომმა, განსვენებულმა ვასო სულხანიშვილმა გამოსცა თფილისშივე ყოველკვირეული ჟურნალი „მეურნე“, რომელიც მართლაც, კარგი შერჩეული შინაარსიანი სტატიებითაც გამოდიოდა ყოველთვის თავ-თავის დროზე. დიდი შრომა და ღვაწლი დასდო ამ ჟურნალს, როგორც განსვენებულმა ვასომ, ისე პატივცემულმა ნიკო ავალიშვილმა, რომელიც ერთ დროს რედაქტორობდა სლიტერატურო და სამოლიტიკო ჟურნალს „მნათობს“, მაგრამ ყოველი

შრომა და ცდა ამაო შეიქნა. ჟურნალი შეასკდა ქართველების კლდესავით გაცივებულ გულს და იგი, უსახსრობისა გამო, უეჭველათ უნდა მოსპობილიყო... მაგრამ ილია ჭყონიამ სკადა ქუთაისში „მეურნის“ გამოცოცხლება და აქ, დასავლეთის საქართველოს დედა ქალაქში დაიწყო მისი წარმოება. მაგრამ სრულიად ამაოთ დაშვრა მისი მეცადინეობაც და „მეურნემ“ სული განუტევა, ისევ უსახსრობის გამო.

ამ ოთხი, თუ ხუთი წლის წინათ თფილისში ვასო რცხილაძემ დაიწყო სამეურნო ჟურნალის „მოსავლის“ გამოცემა, ენერგიულადც შეუდგა იგი საქმეს, ყველას თხოვა თანამშრომლობა და დახმარება. მაგრამ „მოსავალმაც“ ვერ მოიკიდა ჩვენში ფეხი და იგი ახლა ძლივს სულს ლაფავს.

მხოლოდ გასული 1912 წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში ქუთაისში დაიწყეს ყოველკვირეული სამეურნო, საოჯახო ჟურნალის „სასოფლო გაზეთის“ გამოცემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ორი დიდათ პატივცემული, ჩვენში ცნობილი მოღვაწე: თ-დი პეტრე გიორგის ძე წულუკიძე და ალექსანდრე შარაშიძე. ამ გვარად, ქართული სამეურნო ლიტერატურა მეორე სრულიად ახალი და ღირსეული გამოცემითაც გამდიდრდა და იგი, საიმედო ფეხზე დამდგარი, ამიერიდან განაგრძობს თავის განვითარების გზაზე ზრდას და წარმატებას.

ამ იმედს მე გულში მინერგავს შემდეგი გარემოება, რომელზედაც აქვე მოგახსენებთ.

უპირველესი გარემოება ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი ბუნება, რომელსაც შურით შევუბრუნებ უცხოელი, როცა ამას ახლო გაეცნობა ხოლმე, ხელს უწყობს ათასნაირ ახალ-ახალ სამეურნო დარგთა აყვავებას. ამ ოცი წლის წინათ, რომ სომხეთის დიდი მამულიშვილი, ჭკუიანი, გულკეთელი ჰაირიკ ხრომიანი სრულიად სომხეთის კათალიკოსათა იარჩიეს, იგი შავი ზღვით ბათუმს მოადგა და ჩვენი ქვეყანა გადაიარა რკინის გზით თფილის-სამდე. შავი ზღვიდან გემის ბანზე მდგარმა

რომ საქართველოს თავბრუ დამხვევი, მდიდარი ნაპირები პირველათ იხილა, მოწიწებით ორივე მუხლებზე დაიხოკა და შემომქმედს მხურვალე ვედრებით შელაღადა: უფალო, გმადლობ მე ცოდვილი, რომ ამქვეყნათ ღირსი გამხადე, ცოცხლად მენახა ძველი ედემო!... გზაში, თურმე, ეს განთქმული მოხუცებული სულ მოუშორებლად ფანჯარასთან იდგა და ამბობდა, რომ აქაური ხალხი დიდათ ბედნიერი უნდა იყვეს...

აი, ამ ბუნების დიდმა სიუხვემ, გასაოცარმა სიმდიდრემ ორივე ხელი უნდა მაგრათ მოაკიდებოს ჩვენს ხალხს ახალს, ევროპიულ მეურნობისათვის, რომელიც დიდი თავდებია ქვეყნის სიმდიდრისა და დოვლათის დატრიალებისთვის. სწორეთ ამ დიდ სავანს ემსახურება „სასოფლო გაზეთი“, რომელსაც მკითხველმა საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

მეორე გარემოება ის არის, რომ ამ მეოცე საუკუნეში, ნამეტურ განმათავისუფლებელ მოძრაობას შემდეგ, ჩვენი სოფლის ხალხიც, შედარებით რასაკვირველია წინანდელ დროსთან, ცოტათი მიინც გამოფიხლდა... ჩვენს ხალხს აღარ აკმაყოფილებს ძველებური მდგომარეობა, იგი, ორივე თვალებით გამოპრაწული წინ იხედება, თვალს უსწორებს მისგან დაშორებულ ქვეყნების და ხალხების ცხოვრებას, მთელი სახელმწიფოს, მთელი სოფლის სოციალურს ვითარებას და ამჩნევს, რომ, როცა რუსეთი დაიშვევა და იქ პურის მოსავალი არ არის, განსაცდელი არ ასცდება იმასაც, როცა რუსეთში პურის უხვი მოსავალია, ჩვენებური კაციც წელშია გამართული, რომ ბაზარზე პურის და სიმინდის ფასების აწევ-დაწევას მოსდევს ჩვენი ხალხის შრომის ფასის თამაში, აწევ-დაწევა, მისი პაწაწინა საკუთრების ბედ-იღბალი, მისი მოქალაქობრივი თავისუფლებაც და სხვა.

ამიტომაც, დღეინდელი ჩვენებური სოფლელი ქვეყნიდან თლად მოწყვეტილად აღარ გრძნობს თავს, იგი თავის ცხოვრებას ცოტ-ცოტათი უკავშირებს სხვების ცხოვრებას და,

მაშასადამე, კაცობრიობასთან გრძობს სოლიდარობას, რადგან მისი ინტერესები სხვა ხალხების ინტერესებთან არის გადახლართული. ამ განსაცდელით განვლილ ცხოვრებას დიდი ზედმოქმედება და მნიშვნელობა აქვს სოფლის გრძობა-გონებაზე, მთელ მის აზროვნებაზე და იმას რომ დღეს საზოგადო-პოლიტიკური ცხოვრება ხელს უწყობდეს, მერწმუნეთ, ნაბიჯებსაც გადადგამს წინ და ჩაერევა კაცობრიობის საზოგადო კულტურულ ცხოვრებაში...

ჩვენი სამღვდლოებაც ამ საქვეყნო საერთო ვითარებას ვერ გაექცევა. გაექცევა კი არა მაგარის ჯაჭვით არის მიკრული იგი სოფელზე, რომელიც ვითარდება, ვითარდებიან და მატულობენ ყოველწლივ მრავალგვარად სოფლისავე მოთხოვნილებანი. გარდა ეკონომიური ცვლილებისა, რომელიც გაეყო თანამედროვე სოფელს, ფრიად საჭირო შეიქნა ჩვენში ახალი თანამედროვე რაციონალური სამიწაწყლო კულტურა, მეურნობის აღორძინება, სოფელელთა შორის სამეურნო პრაქტიკული ცოდნის გავრცელება, მათი ტანმთვრობის უშიშრად ყოფა, ათასნაირი ღონისძიებანი მანვე მწერების წინააღმდეგ, ჭირნახულისა და ვენახების, ბოსტნეულების მტრების განადგურება, მათი წამლობა, მთლად საზოგადოთ, ქონებრივი კეთილდღეობა, ზნეობრივი და გონებრივი წარმატება სოფლის მცხოვრებთა უნდა არსებითად ანტერესებდეს მოძღვარს, და მაშასადამე, მოძღვარს უნდა ჰქონდეს ცოდნა, ისეთი ცოდნა მაინც, როგორსაც მისგან თხოულობს სოფლის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი. თვარა ცალიერი თანაგრძობა გაჭიერებულისა და საწყალობელი ვლენისა გაჭიერების სრულიად ევრაფერს უშველის და ვერც დედის სინდისს დააშვიდეტს...

ამ ყოველად შევნიერი ჟურნალის „სასოფლო გაზეთის“ გამოწერით ღვდღებს შეუძლიათ ხელი მოკიდონ ახალი ვენახების გაშენების საქმეს, იმათ წამლობას, მებაღობას, მებოსტნობას, მეფეტვრობას და სხვა სამეურნო

პრაქტიკული ცოდნით ახალი სინათლე შეიტანონ ჩვენს სოფლებში და თავიანთმრევლს ჭირი და მწარე შრომა შეუსუბუქონ, გაუადვილონ. ეს იქნებოდა ნამდვილი და ქვეყნარტი მოღვაწეობა თვისი სინდისისა და ქვეყნის წინაშეც.

„სასოფლო გაზეთის“ აგერ მეოცდაერთე ნუმერი გამოდის და მასში, ერთი მეორეზე უკეთესი სტატიები ისტამბება სულ მომზადებული კაცების, სპეციალისტებისგან. თქვენ აქ შეხედებით საჭირო-ბოროტო საკითხებზე საუბარს, ყოველგვარ მეურნობის დარგებიდან სტატიებს, მეურნალთა საყურადღებო წერილებს, ბალკანეთის ომზე და სხვა წერილებს, რომელნიც დიდათ საინტერესო და ფრიად შინაარსიანი წერილებია: ასეთი წერილები ქართულ სამეურნო ლიტერატურას ჯერ არ უნახავს და „სასოფლო გაზეთი“ მკოდნე თანამშრომლებით პირდაპირ ახალს, •საიმედო ხანას იწყებს ჩვენში. ამ გაზეთშივე ისტამბება ფრიად საყურადღებო „მეტეოროლოგიური ცნობანი“, ქრონიკა ყოველ ნომერშია, კითხვა-პასუხი და სხ. ერთი სიტყვით, ამ გამოცემას ახლაცე ვტყობა დიდი უნარი, შრომა, ცოდნა და ხალისი, რომ ემსახუროს სოფლის ხალხს და დიდი ცოდვა იქნება ყველასთვის, რომ ასეთი ძვირფასი, შევნიერი და ყოველის ღირსებით შემკული გამოცემა, უსახსრობისა გამო, ჩვენის დაუდევრობით დაიკეტოს და მოისპოს.

სომღვლი.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მავალიძე.

გამომცემელი იოსებ ლუავა.